

# ირაკლი ავალიანი

## ქართველი პიანისტი ფრანგული ხელწერით


თიმა ლვილია

დიდი ხანია მივეჩვით ჩვენი წარმატებული მუსიკოსები კარიერის გასაგრძელებლად უცხოეთში რომ მიემ-გზავრებიან. ეს ეხლა არ დაწყებულა. 90-იანი წლების ავტედითმა მოვლენებმა მუსიკოსებს, და არა მხოლოდ მათ, მკვეთრად შეუტღუდა პროფესიული მოღვაწეობის არეალი. სამაგიეროდ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსმა მოიტანა ახალი, მანამდე ხელმიუწვდომელი შესაძლებლობები, მათ შორის საზღვარგარეთ თავისუფლად გადადგილების, სწავლის, მუშაობის, პროფესიული მოღვაწეობის გაგრძელების პერსპექტივები. და დაინტყო მიგრაციის განუწყვეტელი პროცესი, რომელიც დღემდე აქტიურად გრძელდება და, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, უკვე საშიშ მასტერებს აღწევს.

მიგრაციის პირველი ტალღის მუსიკოსთა შორის იყო ირაკლი ავალიანი, უკვე შემდგარი პიანისტი, საკმაოდ სანდოერესო შემოქმედებითი ბიოგრაფიით. იგი დაახლოებით 30 წლია რაც საფრანგეთში მოღვაწეობს, მართავს კონცერტებს, გამოშვებული აქვს ჩანაწერების კომპაქტ დისკები, აქტიურად ეწეოდა პედაგოგურ მოღვაწეობას პარიზის სახელმწიფო რეგიონულ კონსერვატორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების თითქმის ნახევარი საფრანგეთში აქვს გატარებული, იგი არ კარგავს სამშობლოსთან კავშირს. ეს არც არის გასაკვირი. როგორც მამის, გრიგორ ავალიანის, ასევე დედის – დაგმარა ვახვახიშვილის მხრიდან, იგი ძლიერი ქართული გენეტიკური კოდის მატარებელია. მისი დიდი ბაბუა დედის მხრიდან კოტე აფხაზი იყო.

ირაკლი ავალიანმა წელსაც არ უღალატა ტრადიციას, თბილისში ჩამოვიდა და სოლო კონცერტი გამარ-



ირაკლი ავალიანი

თა კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში. ამ კონცერტმა მოიზიდა ყველა მისი გულშემატკივარი, მისი სკოლის და სტუდენტობის მეგობრები, მუსიკოსები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, ფაქტიურად 70-იანი წლების თბილისი „ბო მონდი“ ამ სიტყვის კარგი გაგებით.

პროგრამა მოიკავდა ი.ს. ბახის, ფ. შოპენის, ფ. შუბერტის და ალ. შავერზაშვილის ნანარმოებებს. ბახის დო მინორული პარტიტურის (№2,) პირველივე აკორდები-დანვე გამოიკვეთა პიანისტის ინდივიდუალური ხელწერის ნიშნები, რაც შემდგომ შესრულებულმა ნანარმოებმა – შოპენის ექსპრომტმა (№ 1, As dur), ორი ნოქტიურნის, ბალადის (№3, g moll) და განსაკუთრებით, შუბერტის სონატის (D dur, თხ. 53) შესრულებამ კიდევ უფრო გაამყარა.

მას, როგორც შემსრულებელს ახასიათებს მახვილის გადატანა ინტიმურ თხრობაზე. ზედემეტი პათეტიკა მისთვის უცხოა. იგი არ ცდილობს ტექნიკური ილეთების თავბრუდამხვევი ეფექტებით (რაც ბევრი პიანისტის შესრულების მთავარ კოშირს წარმოადგენს), გააოცოს მსმენელი. მისი მთავარი იარაღია სულიერი კონ-

ტაქტის ნარმოქმნა მსმენელთან, მასთან უხილავი დიალოგის გაბმა, რათა ნაწარმოების შინაარსი, რომელიც შეგრძნებადი ხდება ფრაზირების, ინტონაციური ნიუანსების ფაქტიზი გადმოცემის საშუალებით ლოგიკურად რომ მისდევს ნაწარმოების სტრუქტურულ და ფაქტურულ აგებულებას, ისეთივე მკაფიო გახდეს მსმენელის თვის, როგორც მისთვის. მისი შესრულება სიჩუმიდან იბადება, მაგრამ გარემო, რომელიც ამ დროს იქმნება გაუღენითოლია მომწუხველი ენერგეტიკით, რომელიც გაიძულებს ბოლომდე უშინო პიანისტს და მასთან ერთად ჩაება მუსიკის ხორცშესხმის პროცესში.

საშემსრულებლო სტილის ეს თავისებურება ძალიან განსხვავებულია, რუსულ-საბჭოთა სტილისაგან, რომლის მემკვიდრეები ჩვენც ვართ, მიუხედავად იმ თავისებურებისა, რომელიც ქართულ საფორტეპიანო სკოლას გააჩნია და რომელიც ჩვენი ეროვნული ხასიათის ნიშნებით და კულტურული თვითმყოფადობით არის განსაზღვრული.

საშემსრულებლო სტილის ამ საინტერესო სინთეზში რომ გავერკვეთ, საჭიროა უფრო დეტალურად გავეცნოთ ირაკლი ავალიანის შემოქმედებით ბიოგრაფიას, რომელიც მოიცავს საქართველოში, რუსეთში და საფრანგეთში გატარებულ ჰერიოდებს. თითოეულმა ეტაპმა თავისი კვალი დატოვა მისი საშემსრულებლო სტილის ჩამოყალიბებაზე, რაც საბოლოო ჯამში გამოიკვეთა იმ სახით, რითაც იგი წარსდგა ქართველი მსმენელის წინაშე 2019 წლის 26 აპრილს, კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში.

ირაკლი დაიბადა თბილისში 1950 წელს. სამი წლიდან გამოავლინა ინტერესი მუსიკისადმი, და არა მხოლოდ მუსიკისადმი. ოჯახი, მიუხედავად ნარსულში მათ მიმართ გატარებული რეპრესიებისა და მატერიალური შესაძლებლობებისა, ცდილობდა სამივე შვილისთვის (ირაკლის ორი უფროსი და ყავდა) ბავშვობიდანვე საუკეთესო განათლება მიეცა. ამიტომ ირაკლის უკვე სამი წლის ასაკში ყავდა დიდგვაროვანი წარმოშობის რუსულენოვანი ინგლისურის მასწავლებელი, რომელიც თავის დროზე სწავლობდა ფორტეპიანოს პეტერბურგის კონსერვატორიაში. ასე რომ, სანამ სკოლაში შევიდოდა, ირაკლი უკვე ფლობდა ქართულს და რუსულს, რო-

გორც შემობლიურ უწებს, ასევე ინგლისურს. იცოდა წერა-კითხვა და პიანინოზე სმენით აწყობდა მელოდიებს, რომელიც ესმოდა.

ტრადიციისამებრ, საშუალო სკოლის გარდა ირაკლი მუსიკალურ სკოლაშიც შეიყვანეს, სადაც თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ნორჩმა პიანისტმა, რის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ 9 წლის ასაკში პირველი სოლო კონცერტი გამართა. 12 წლის ასაკში იგი ბ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედში“ ჩაირიცხა ცნობილი ფორტეპიანოს პედაგოგ ევგენია ჩერნიავსკაის კლასში, რომელთანაც სწავლობდნენ ქართული საფორტეპიანო სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლები – ცნობილი პიანისტი და პედაგოგი, კონსერვატორის პროფესორი, ახალგაზრდა პიანისტა მრავალი თაობის აღმზრდელი – ალექსანდრე ნიუარაძე, მარინა მდივანი (1962 წელს, მარგარიტა ლონგისა და უკ ტიბოს საერთაშორისო კონკურსის 1 პრემიის ლურჯატი, პ. ჩაიკოვსკის II საერთაშორისო კონკურსის მე-4 პრემიის ლურჯატი. ამჟამად ცნოვრობს კანადაში, სადაც ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას). ჩერნიავსკაიას აღმზრდილი იყო ცნობილი დირიჟორი ვახტანგ უორდანია, პიანისტი და კომპოზიტორი გიორგი შავერზეშვილი და სხვ. ქალბატონი ევგენია იყო პირველი პიანისტის, ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებლის, ალომ მიჩნდარის (1838-1912) მოსწავლე. როგორც ცნობილია, თავად ალომი მიზანდარს, მისი პარიზში და ვენაში მოღვაწეობის პერიოდში ახლო ურთიერთობა აკავშირებდა მე-19 საუკუნის გამოჩენილ მუსიკოსებთან, მათ შორის ფ. ლისტთან, რომლის ზეგავლენით ბევრნილად ჩამოყალიბდა მისი საშემსრულებლო და პედაგოგიური პრინციპები. ამ პრინციპების საუკეთესო გამგრძელებელი იყო ქალბატონი ევგენია, რომელმაც პატარა ირაკლი აჩიარა მუსიკალური ხელოვნების ჭეშმარიც ფასეულობებს. მყარად ჩადებულმა ფუნდამენტმა დიდი როლი ითამაშა ახალგაზრდა პიანისტის ინდივიდუალური სახის ჩამოყალიბებში და განსაზღვრა მისი შემდგომი დამოკიდებულება მუსიკისადმი. უკვე სკოლის ასაკში ირაკლის აღმოაჩნდა ნოტების კითხვის და მუსიკალური მესსიურების გასაოცარი უნარი, რაც

მყარი დასაყრდენი აღმოჩნდა კარიერული განვითარების შემდგომ ეტაპებზე.

„ათწლეუდის“ ნარმატებით დამთავრების შემდეგ ირაკლიმ სწავლა გაავრძელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც ის ჩაირიცხა საქართველოს დამსახურებული არტისტის, პიანისტ რუსუდან ხოჯავას კლასში. ქალბატონი რუსუდანი, მოსკოვის კონსერვატორის კურსდამთავრებული (ალექსანდრ გოლდენ-ვეიზერის კლასი). ი.ს. ბახის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ერუდიორებული მუსიკოსი და შესანიშნავი პროფესიონალი, საკუთხევლის არჩევანი იყო ირაკლი ავალიანისათვის. ქალბატონმა რუსუდანმა დაინახა და ირწმუნა ახალგაზრდა სტუდენტის გამორჩეული შესაძლებლობები და ორი წლის შემდეგ თავად იმრუნა, რომ ირაკლის სწავლა მოსკოვის კონსერვატორიაში. ცნობილი პიანისტის ლევ ვლასენკოს კლასში გაეგრძელებინა.

ლევ ვლასენკო (1928-1996) თბილისში იყო დაბადებული და „ნიჭირთა ათწლევდში“ სახელმოხვეჭილ პედაგოგ ანასტასია ვირსალაძესთვის სწავლობდა. შემდგომში სწავლა მოსკოვის კონსერვატორიაში გაავრძელა ი. ფლიერის კლასში. ბუდაპეშტში ფ. ლისტის ჰიანისტოა საერთაშორისო კონკურსის 1 პრემიის და და პ. ჩაიკოვსკის ჰიონველი საერთაშორისო კონკურსზე მეორე პრემიის მოპოვების შემდეგ, იგი საბჭოთა ჰიანისტური სკოლის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული წარმომადგენელი გახდა. ვლასენკოს ახლო კავშირები და თბილი ურთიერთობები ქონდა ქართველ მუსიკოსებთან, მათ შორის ქალბატონ რუსუდანთან. წინასწარი მოსმენის შემდეგ ლევ ვლასენკო დათანხმდა ირაკლი ავალიანი თავის კლასში აუყვნა. ამისათვის კი საჭირო იყო მძაფრი კონკურსციის პირობებში მოსკოვის კონსერვატორიაში მისაღილი გამოკვდების ჩაბარება. ირაკლიმ წარმატებით გაართვა თავი ამ როგორ ამოკანს და მოსკოვის კონსერვატორიის სერიუმზე გახდა.

დაიწყო ახალი ეტაპი მის ცხოვრებაში. ის ძირეულად განსხვავდებოდა თბილისური ყოფისაგან. მზრუნველი ოჯახი, თბილი, მეგობრული გარემო, სილადე ჟეკიულა ცივი, რაციონალური, და გაცილებით დისციპლინირებული მოსკოვური ყოველდღიურობით. საჭირო იყო მეტი დამუსკიდებლობის და ალლოს გამოჩენა, რომ გა-



ଦିଲାକ୍ଷୀ ଆବାଲ୍‌ଗାନ ଶାତ୍ରବିରାମିତିରେ – ୧୦୯ମିନ୍  
(୩୫୩) ପାତାକାରୁକ୍ତପାତ୍ରିତାରେ ଏହା କାହିଁପାଇସନ୍, ମାତ୍ରାକୁଣ୍ଡଳୀ  
ସିପଲାକ୍ରମିତିରେ ଆପଣିର ଏହା ଅମଲାକାରାଙ୍ଗ ପାଇସନ୍  
ପାତ୍ରିତାରେ ଏହାରେଇବେ.

ეძლო ცხოვრებისეული სიძხელებისათვის, რომელიც ყოველთვის წამოიჭრება ახალგაზრდა სტუდენტის წინაშე უკხო ქვეყანაში. მას ერთდროულად უნდა გადაეჭრა ბინის, კვების, ტრასპორტის პრობლემები, მოქერხებინა ინსტრუმენტზე მეცადინეობის ორგანიზება; თავის თანატოლებთან მიმართებაში გადაელახა ის ჩაკეტილი ურთიერთობები, რომელიც ძირითადად კონკურენციის და პროფესიული შერით იყო ნასაზრდოები; ამავდროულად, მაქსიმალურად წარმოეჩნია თავი როგორც ნაჭირ და იმედის მომცემ პიანისტს; გაემართლებინა ის იმედები, რასაც მასზე ამყარებდნენ; თამამად შეჭიდებოდა იმ გამოწვევებს, რასაც მოსკოვის კონსერვატორიაში მაღლალ სტანდარტზე აგებული სასწავლო პროცესი ითხოვდა.

როგორც ჩანს, ამ გამოწვევებმა და მომავლის პერ-  
სპექტივების სკეპტიკურმა გააზრებამ, რაღაც ეტაპზე,  
ირაკლი სპეციალობის შეცვლაზეც კი დააფიქრა. ამ  
ტრასფორმაციის სათავე კი მისი დაახლოება აღმოჩ-  
ნდა მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტის, ГИТИС-ის  
სცენდენტებთან. მათ შორის იყვნენ მისი ახლო მეგობ-  
რები, თემურ ჯორჯაძე და მანანა მენაძე, რომლებიც  
სარეაქციორობზე სწავლობდნენ. მომავალ მსახიობები და  
რეჟისორები უფრო ლაღები, თავისუფლები, შთაგონე-  
ბულები და გახსნილები იყვნენ ვიდრე კონსერვატორი-  
ელები. გულმა რეჟისურისკენ გაუნდა, დაინტენ სცენარე-



კონცერტს გვადეთ, საქართველოს კომპოზიტორთა აა-ვარდა. მარტინ გურიაშვილი: ირაკლი ავალიანი, საქართველოს სახელმწიფო კადასტრის მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარი, სახატის აპონი, აიანიშვილი, ავალიანი თიმა ფილმისას, ირაკლი გვარდაშვილი, ირაკლი ავალიანის და ასინდა ავალიანი.

ბის წერა, ოცნებობდა ფილმების გადაღებაზე, ხიბლავდა ვისკონტის და პაზოლინის ხელნერა... თუმცა გარკვეული დროის შემდეგ პასუხისმგებლობის გრძელებამ და სიტუაციის რაციონალურად შეფასების უნარმა პროფესიის შეცვლა გადააფიქრებინა და ისევ მუსიკისკენ იძრუნა პირი, უკვე საბოლოოდ. მოსკოვის კონსერვატორია წარმატებით დაამთავრა, ერთი წელი სავალდებულო ჯარშიც იმსახურა და ყველფრით ვალმოხდილი თბილისში დაბრუნდა.

საქართველოში ჩამოსულა ღირსშესანიშნავი იყო მისთვის ორი მნიშვნელოვანი გარემოების გამო. პირველი — მან მუშაობა დაიწყო და გახდა ფილარმონიის სოლისტი, რასაც მოყვა კონკრეტები არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მეორე — ეს იყო მისი შეხვედრა ეთერ ჯაყულთან.

ეთერი (რუსაძე) ჯაყულის (1925-2014), როგორც მუსიკოსისა და პედაგოგის შესახებ ჩვენმა საზოგადოებამ ან თითქმის არაფერი იყო, ან თუ იყო, მცდარი წარმოდგენა აქვს მასზე.

იგი დაიბადა საფრანგეთში, ემიგრანტების ოჯახში. ბავშვობა ლევილში გაატარა. 1967 წელს ჩამოვიდა საფრანგეთიდან საქართველოში თავის მეუღლესთან, არქიტექტორ ოთარ ჯაყულთან ერთად. კონსერვატორიაში მის პედაგოგიურ მოღვაწეობას უარყოფითად

შეხვედა საფორტეპიანო კათედრის იმდროინდელი ელიტა. ქალბატონი ეთერის სწავლების სტილი სრულიად განსხვავდებოდა ჩვენთვის ტრადიციული პრინციპებისა და მიღვიმებისაგან. პარიზის უმაღლესი ნაციონალური კონსერვატორიაში, შემდგომ კი ბელგიის სამეფო კონსერვატორიაში ცნობილ პედაგოგ ედუარდ დელ პუ-ეკოსთან სწავლის შემდეგ, ქალბატონი ეთერი ეტარა მე-19 საუკუნის პიანისტი ქალის, კომპოზიტორისა და მეცნიერის მარი უალის (1846-1925) ნაშრომებს, რომელიც ფორტეპიანოზე დაკვრის ტექნიკის საკითხებს ეხებოდა და მას შემდეგ გახდა ამ მეთოდის აპოლოგეტი. თბილისის კონსერვატორიაში იგი სწორედ ამ მეთოდით ასწავლიდა თავის სტუდენტებს, რაც გაუგებარი და მიუღებელი იყო სულ სხვა პრინციპებზე აღმრდილი ჩვენი მუსიკოსებისათვის. მათ თვალში ხვდებოდათ ეთერ ჯაყულის სტუდენტთან მუშაობის გარეგნული ნიშნები: ინსტრუმენტთან დაბალი ჯდომა, თითების განსხვავებული პოზიცია — ოდნავ ბრტყელი ხელისგული, ცერა თითი მაქსიმალურად დაშორებული მეორე თითს და ბოლოში მოხრილი. დანარჩენი თითების პირველი ფალანგები ხელის ზურგის დონეზე, მეორე და მესამე ფალანგები მოხრილი. ისინი ნაკლებად ინტერესდებოდნენ რა საშემსრულებლო ამოკანებით იყო ნაკარნა-ხევი ხელისა და სხეულის ეს პოზიციები, რის გადაჭრას გმასახურებოდნენ ისინი.

იმისათვის რომ, თუნდაც ზედაპირულად გავერკვეთ მარი უალის მეთოდის თავისებურებებში, მოგვიზდება მცირე ისტორიული ექსკურსის ჩატარება.

საფორტეპიანო ტექნიკის განვითარების და მისი მექანიზმების მცნიერულად შესწავლის საკითხები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის აქტუალურ თემატიკად იქცა ევროპაში. გერმანიაში, საფრანგეთში გამოიკვეთნენ საფრანტეპიანო პედაგოგიკის ცნობილი წარმომადგენლები, რომლებიც ექვედნენ მიზანშენონილი და რაციონალური პიანისტური მოძრაობების გამომუშავების გზებს. ეყრდნობოდნენ რა თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს, ისინი ანატომო-ფიზიოლოგიური კვლევების საფუძველზე თეორიულად ასაბუთებდნენ თავიანთ დასკვნებს და რეკომენდაციებს.

ამ მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ: რუ-

დოლფ ბრეიტვაუბტი, ფორტეპიანოზე „წონითი დაკვრის“ სისტემის შემქმნელი; რაციონალური ტექნიკის გამომუშავების მეთოდის ავტორი — ერვინ ბახი, რომელიც მიუთითებდა შემსრულებლის მიერ მხრების, როგორც მოძრაობის მთავარი ბერკეფის გამოყენების აუცილებლობაზე; ცენტრალური ნერვული სისტემის როლზე და დაკვრის დროს შეცდომების დაშვების ფიზიოლოგიურ საფუძვლებს იკვლევდა რუდოლფ შტენპაუზენი, რომელიც ამავდროულად მისი გამოსწორების რეკომენდაციებაც იძლეოდა; ფსიქო-ტექნიკური სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი იყო კარლ მარტინსენი, რომელმაც დაასაბუთა პიანისტური ტექნიკის ინდივიდუალური ბუნება და განმარტა მისი ხასიათი, როგორც შემსრულებლის „ბგერათშემოქმედებითი ნების“ გამოვლინება.

ამ და სხვა გამოჩენილ მკვლევართა შორის იყო მარი (ტროტმან) ჟაელი (1846 – 1925), ფრანგი პიანისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი. იგი იმ დროს თავისი პოპულარობით ტოლს არ უდებდა კლარა ვიგს. ის იყო პირველი პიანისტი, რომელმაც პარიზში ერთ ციკლად შეასრულა ბეთჰოვენის ყველა საფორტეპიანო სონატა, ასევე ლისტის და შუმანის თითქმის ყველა ნაწარმოები. მისი მუსიკალური, ცნობილი პიანისტი ალფრედ ჟაელი, შოპენის მოსწავლე იყო. ისინი ერთად მართავდნენ კონცერტებს ევროპის ქვეყნებში და რუსეთში. მათ ახლო მეტობრობა აკავშირებდათ ფ. ლისტან, კ. სენ-სანსთან, ს. ფრანკთან და იმ დროის გამოჩენილ მუსიკოსებთან. მარი ჟაელი იყო აგრეთვე თავის დროის ცნობილი კომპოზიტორი. კომპოზიტოს გაყვეთილებს ის იღებდა ს. ფრანკთან და კ. სენ-სანსთან. ამ უკანასკნელმა მარი ჟაელს მიუძღვნა თავისი პირველი საფორტეპიანო კონცერტი და ეტიუდი „ვალსის ფორმაში“. მარი ჟაელი იყო პირველი ქალი კომპოზიტორი, რომელიც მიღეს საფრანგეთის კომპოზიტორთა ნაკიონალურ საზოგადოებაში.

მარი ჟაელის ცხოვრებაში ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მისი ურთიერთობა მხვივან ფ. ლისტთან ვაიმარში. ლისტი ძალიან აფასებდა მარი ჟაელის საშემსრულებლო ხელოვნებას. ცნობილია მისი სიტყვები: „მას (მარი ჟაელი) აქვს ფილოსოფოსის ტვინი



ეთერ ააყალი

და არტისტის თითები“. ლისტმა იგი მიიჩატია თავისთან ვაიმარში, რათა უაელი დახმარებოდა მას დღიურებისა და ჩანაწერების მოწესრიგებაში. ამ დროს ჟაელს საშუალება ჰქონდა დაკვირვებოდა ლისტის დაკვრას, გაეანალიზებინა მისი შესრულების თავისებურებები, ჩაწვდომოდა იმ ხერხებისა და საშუალებების საიდუმლოს, რომლითაც გენიალური პიანისტი ქმნიდა მუსიკის განუმეორებელ სამყაროს. ეს დაკვირვებები და ანალიზი მოგვიანებით მის ნაშრომებში აისახა.

მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით საფორტეპიანო ტექნიკის კვლევა მარი ჟაელმა დაიწყო მას შემდეგ, რაც განუვითარდა ხელების დაავადება — ფენიცნიტი (მყენების ანთება). ეს დაავადება ხშირ შემთხვევაში ინსტრუმენტთან მრავალსაათიანი მუშაობის და ხელების გადაღლის შედეგად ვითარდება. იგი პროფესიულ დაავადებათა რიგს განეკუთვნება და ხშირად გამხდარა პიანისტებისათვის კარიერის შენყვეტის მიზეზი.

იმისათვის რომ გარკვეულიყო პიანისტური მოძრაობების ფსიქო-ფიზიოლოგიური მექანიზმების საფუძლებში, მარი ჟაელი დაინტერესდა ნეირომეცნიერების



ანთ ჟაელი (MARIE JAËLL)

და ფსიქოლოგიის შესწავლით. იგი მიიჩნევდა რომ, მისი დაავადება გამოწვეული იყო დაკვრის დროს ხელების დაძაბულობით. ამიტომ ჟაელის სურვილი იყო გარკვეული ფორმის როგორ ფუნქციონირებს სხეული დაკვრის დროს, მოექცნა შესაბამისობა მუსიკის შესრულების ემოციურ მხარესა და ფიზიოლოგიურ ასპექტებს შორის, რათა განესაზღვრა მათი სინქრონიზებული ფუნქციონირების საკითხები. იგი იკვლევდა ცდების საშუალებით ურთიერთკავშირს პინისტის მოფორულ ფუნქციებს, შესრულების მუსიკალურობასა და აზროვნებას შორის; კლავიატურაზე თითების ტაქტილური შეხების და ტუშეს თავისებურებებს; პინისტური მოძრაობის აგებულების სტრუქტურას.

ამ კვლევების საფუძველზე იგი მივიდა დასკვნამდე: „ყოველი ორგანო, რომელიც მოძრაობს, უნდა დაეყრდ-

ნოს იმ ორგანოს, რომელიც არ მოძრაობს“. ეს გულის-ხმობდა რომ თითების მოძრაობები ეყრდნობა ხელის უძრაობას, მაჯის მოძრაობა — წინამხრის უძრაობას, წინამხრის მოძრაობა — მკლავის ზედა ნაწილის უძრაობას, მხარის უძრაობა კი ტორსის სიმყარეს.

ჟაელის აზრით, მცდარი იყო ტრადიციული მიდგომა ფორტეპიანოზე მრავალსაათიანი მეცადინეობის შესახებ. იგი თვლიდა, რომ პიანისტი ისევე უნდა გაუფრთხილდეს თავის ხელებს, ტუშესა და თითების ფაქტიზი მერქნობელობის შენარჩუნების უნარს, როგორც მოძლერალი თავის ხმას. მისი აზრით, საჭირო იყო არა სამუშაო დროის გახანგრძლივება, არამედ დატვირთვის ინტესიურობის გაზრდა. ის ამტკიცებდა რომ ზრდასრული პიანისტისათვის, რომელიც უკვე გაცნობიერებულად ფლობს თავის მოძრაობებს, საკმარისია იმუშაოს 2 საათი, ისიც წყვეტილად. ის მიიჩნევდა, რომ ამ დროში შესაძლებელა ვირტუოზულობის უფრო ადვილად გამოიმუშავება, ვიდრე მრავალსაათიანი მეცადინეობის დროს, ვინაიდან ნოტებიდან აღქმული მუსიკალური აზრი, რომელიც ბადებს შესაბამისი ულერადობის მიღწევის მოთხოვნილებას, გადადის რა მოფორულ დონეზე, ირჩევს თითებისა და ხელის ყველაზე ადეკვატურ მოძრაობებს. სწორედ ასეთ კომპლექსურ მიდგომაში — მუსიკა და ფსიქოლოგორიკა — მდგომარეობდა ჟაელის მეთოდის მეცნიერული დასაბუთება.

ამ კვლევებში ჟაელს ქმნარებოდა ცნობილი ექიმი და მეცნიერი შარლ ფერე. მისი დახმარებით, ასევე თავის თავზე და მოსწავლეებზე დაკვირვების საფუძველზე, მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი სისტემა, რომელიც ცნობილია „ჟაელის მეთოდის“ სახელწოდებით. მას გამოქვეყნებული აქვს 11 ნაშრომი, რომელიც დღესაც არ კარგას აქტუალობას.


ეთერ ჯაყელის მეშვეობით ირაკლი ავალიანი სწორედ ამ მეთოდს ეზიარა. ეს იყო მისთვის ახალი და უმნიშვნელოვანესი ეტაპის ათვლის წერტილი. გადანყვეტილება — ყველაფერი დაეწყო თავიდან, მიიღო მომენტურად, ეთერ ჯაყელთან პირველი შეხვედრის შემდეგ. იგი მასთან მივიდა რათა ქალბატონ ეთერის მოქმედი შონბერგის სამი პიესა, რომელიც მაღალ უნდა დაეკრა კონცერტზე. ის გაოგნებული დარჩა იმ შენიშ-

ვწებით, რომელიც გამომდინარეობდა მუსიკის აღქმის და ბერებში გამოხატული ნააზრევის გადმოცემის სრულიად ახალი კონცეფციიდან. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ქალბატონი ეთერის ფორტეპიანოზე ჩვენების და რეკორდაციების ეფექტი, რომელმაც თითქოს თვალები აუხილა, თუ როგორ უნდა დაეკრა, როგორ უნდა აეგო ფრაზები, როგორ უნდა დაეკავშირებინა თითოეული ბერა ერთმანეთთან, რომ მიეღო მუსიკალური თხრობის ლოგიკური და უნიკური ჯაჭვი. აღმოჩნდა რომ ამ საკითხებზე ასე არავინ ლაპარაკობდა... და დაიწყო 4 წლიანი ინტენსიური მეცადინების ეტაპი. პირველი წელი თითქმის მხოლოდ სავარჯიშოებს მიეძღვნა, რომელიც უწვითარებდა ტაქტილურ მგრძნობელობას, კუნთების ელასტიურობას, თითის ფალანგების დამოუკიდებლობას, ტუშეს ხელოვნებას.

ოთხი წლის შემდეგ ირაკლი ისევ მოსკოვში დაბრუნდა და მაშინათვე აიყვანეს მოსკოვის ფილარმონიის სოლისტად. იქ კონცერტები გაცილებით მეტი იყო ვიდრე საქართველოში. თვეში დაახლოებით 15-16 კონცერტი, ზოგჯერ მეტი, წელიწადში კი 200-250 გამოდიოდა. ეს იყო დიდი გამოცდილება. უკრავდა როგორც სოლისტი, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, კონცერტმასტერი, კამერული ანსამბლის შემადგენლობაში, ციმბირში, სახალინშე, სხვადასხვა ქალაქებში მთელი საბჭოთა კუშირის მასშტაბით.

რეპერტუარი ელვის სისწრაფით ფართოვდებოდა ფილარმონიის მიერ მოთხოვნილი პროგრამების მიხედვით. თუ უარს იტყოდი აუტსაიდერებში მოვდებოდი და მერე ძნელი იყო მოთხოვნადი პანისტის რანგში დაბრუნება. ეს კი მატერიალურ მხარეზე აისახებოდა პირველ რიგში. ამავდროულად მისი ცნობადობაც იზრდებოდა. მის სახელზე მოდიოდა მოწვევები საზღვარგარეთიდან, მაგრამ მის ნაცვლად მოსკოვის ფილარმონიიდან სხვებს აგზავნიდნენ. ერთხელაც მოხდა სასწაული და მას საფრანგეთში წასვლის უფლება დართეს.

ეს უკვე 1989 წელი იყო. ჰაერში ცვლილებების სუნი ტრიალებდა. ჯერ სამი თვით გაუმტბავრა — აზრადაც არ მოსვლია რომ იქ დარჩებოდა, უკვე სამუდამოდ. მაშინათვე შესთავაზეს პატარ-პატარა კონცერტები, კერძო გავეთილები. გამოჩნდა მუდმივი სამუშაოს დაწყების



საფრანგეთში გამოცხადებული პიონირული წიგნი ირაკლი ავალიანის გარემონტი, 2018.

შესაძლებლობა პარიზის ერთ-ერთ რეგიონულ კონცერვატორიაში. ჯერ დროებით, მერე იქ 25 წელი იმუშავა.

სამი თვის შემდეგ კიდევ გააგრძელა ვიზა. და შემდეგ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა... დაინტერა ბერლინის კედელი, რასაც მაღლე მოყვა სსრკ დაშლა. საბჭოთა პასპორტს ვადა გასდიოდა, საქართველოში მოიყო, რუსეთის მოქალაქეობა არ უნდოდა და მიღო გადაწყვეტილება — მიემართა საფრანგეთის მთავრობისათვის მოქალაქეობის მოთხოვნით. დასტური უპრობლემოდ მიღო.

მისდაუწეურად, გარემოებების ასეთმა თანწყობამ განაპირობა ქართველი პიანისტის ირაკლი ავალიანის საფრანგეთში დარჩენა და 40 წლის ასაკში კარიერის თავიდან დაწყება. აქაც შემთხვევამ დადებითი როლი ითამაშა.

ერთმა ნაცნობმა იმპრესარიომ ირაკლი მეუღლესთან ერთად ახალგაზრდა ფრანგი პიანისტი ქალის კონცერტზე დაპატიჟა შან-ზელიზეს საკონცერტო დარბაზში,



რომელიც 2500 კაცს იტევს. წასასვლელად უკვე მზად იყვნენ, როცა კონცერტის დაწყებამდე 40 წუთით ადრე იმავე იმპრესარიომ დაურეკა, რომ კონცერტი იშლებოდა — ახალგაზრდა ქალი წაიქცა და ხელი იღრმო. საჭირო იყო სასწრაფოდ შემცვლელის პოვნა. მან ირაკლის შესთავაზა, და ეს გამოწვევა ირაკლიმ დაუფიქრებლად მიიღო. რამპის იქეთ ისე აღმოჩნდა, რომ ბოლომდე არ იცოდა რას დაუკრავდა მეორე განყოფილებაში. გადაწყვიტა რომ ამას პირველ განყოფილებაში ჩაიკოვსკის საფორტეპიანო ციკლის „ნლის დრონის“ შემდეგ განწყობისამებრ გადაწყვეტდა. რეპერტუარი ისეთი ფართო ჰქონდა და საბჭოთა კავშირში მიღებული საკონცერტო გამოცდილება იმდენად დიდი, რომ თავისუფლად შეძლო 2-3 კლავირაბენდისათვის პროგრამის მომენტალურად აწყობა.

პარიზის ერთერთ ცენტრალური საკონცერტო დარბაზში შეკრებილი ჰუბლიკა ფრანგი ახალგაზრდა შემსრულებლის მოსამენად იყო მისული. სცენზე უკნობი ქართველი პიანისტის გამოჩენამ დარბაზში დააბნია — დამსწრეთა ნანილი ტაში უკრავდა, ნანილი კი უსტვენდა. კონცერტის დასრულების შემდეგ კი მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ასე გამოხატავდა თავის აღფრთოვანებას. ეს დიდი გამარჯვება იყო და ამ წარმატებამ გზა

გაუსხსნა ინტენსიური საკონცერტო მოღვაწეობისაკენ.

მას შემდეგ იგი მართავს კონცერტებს სხვადასხვა ქვეყნებში. გაუჩინდა თავისი მსმენელი, თაყვანისმცემ-ლები და მსურვალე გულშემატკიცრები. ამ წრიდან გამოიკვეთნენ სპონსორებიც, რომლებმაც დიდი დაბმარება გაუწიეს ჩანაწერების კომპაქტ დისკების გმოცემაში. ამ ხნის მანძილზე დაახლოებით 14 კომპაქტ დისკი აქვს ჩანერილი, რომელიც მოიცავს მის ვრცელ რეპერტუარს, დაწყებული ბაროკოდან, დამთავრებული თანამედროვე საფორტეპიანო მუსიკის ჩათვლით. აქ არის როგორც სოლო პროგრამების, ასევე კამერული მუსიკის ჩანაწერები, მათ შორის ი. ს. ბახის, დ. კარლატის, ლ. ვ. ბეთჰოვენის ბოლო სონატების, ფ. შუბერტის, რ. შუმანის ი. ბრამსის სოლო და კმერული მუსიკა, პ. ჩაიკოვსკის ჩანარმოებები და სხვ.

2018 წელს გამოვიდა ბიოგრაფიული წიგნი ირაკლი ავალიანზე, რომლის ავტორია მუსიკის დიდი მოყვარული, პიანისტის შემოქმედების თაყვანისმცემელი ერვე უიკო, ექსპერტ-ანალიტიკოსი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საკითხებში. მან დააფუძნა პიანისტთა ასოციაცია, სადაც თავი მოყენება ცნობილ პიანისტებს და ორგანიზებას უწევს მათ მიერ კონცერტების გამართვას პარიზსა და სხვა ქალაქების ცნობილ დარბაზებში.

დღეს ირაკლი ავალიანი, ქართველი პიანისტი, ითვლება მარი უალის ფრანგული პიანისტები სკოლის საუკთხეო წარმომადგენლად. მისთვის, ამ სკოლის დამახასიათებელი თავისებურებები, მუსიკალური წანარმოების სამესრულებლო კონცეფციის აგება და ტექნიკური ხორცშესმის საშუალებები, ტუშეს ფერადოვნება და თხრობის ინდივიდუალური მანერა, ემყარება იმ ტრადიციებს, რომელიც ეთერ ჯაყელმა მას გადასცა. ქალბატონი ეთერი კი ამ სკოლის პრინციპებს აზიარა მისმა პედაგოგმა ედუარდ დელ ჰუეიომ, რომელიც თავისი მხრიდან სწავლობდა მარი უალის მოსწავლესთან — უანა ბოშ ვან გრეიმორთან. ასე უკნაურად გადაეჯაჭვა ერთმანეთს ქართული, რუსულ-საბჭოთა, ფრანგული საფორტეპიანო სკოლები და ამ საინტერუსო სინთეზის აღქმაში ჩვენმა თანამემამულებ ირაკლი ავალიანმა მთავარი როლი შეასრულა.